შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (9.746)

20-27 აგვისტო 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.3

ქორწინება, ოჯახი და რეფერენდუმი

უმაღლესი სარისხის ჯილდო - აგვისტოს გმირებს

გვ. 3



გვ. 4-8

ძალა ერთობაშია

საპატრიარქოს სკოლა დაინვა



გვ. 6

დედოფლისწყაროში გადამფრენ ფრინველებზე უკანონო ნადირობის ფაქტი გამოავლინეს

გვ.5

ელია თეზბიტელის მინიატურული მონასტერი ზღვის სანაპიროზე აშენდა



გ 3 . 8

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

„ჩემთვის ხელისუფლებაში ყოფნა ხალხის სამსახურია“...

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატი დედოფლისწყარო-სიღნაღის რაიონულ ოლქში ირაკლი შიოლაშვილი გახლავთ. როგორია მისი წინასაარჩევნო განწყობა და როგორ ემზადება ის არჩევნებისთვის?! გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

მინი დოსიე: *დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურებში, 2007 წლიდან მუშაობას იწყებს საგადასახადო სისტემაში, კერძოდ, მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში, 2010-12 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში, 2012 წლის ნოემბრიდან ირაკლი შიოლაშვილი ინიშნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლად, 2013 წლის დეკემბრიდან დღემდე იგი კახეთის მხარის გუბერნატორია. ამავე დროს მმართველმა პარტიამ, საქართველოს პრემიერ მინისტრმა და პარტია „ ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ ის სიღნაღი-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მაჟორიტარულ ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად დაასახელა. როგორც მოხდება მაჟორიტარი კანდიდატების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირება პარტია „ქართული ოცნების“ მხრიდან, ირაკლი შიოლაშვილს ავტომატურ რეჟიმში მოეხსნება გუბერნატორობის თანამდებობა და დაიწყებს აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას.*

-ირაკლი, თუ ხვდებით უკვე ამომრჩეველს და როგორია მათი წინასაარჩევნო განწყობა თქვენი, როგორც მაჟორიტარი კანდიდატის მიმართ?

-იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ მე ვიყავი 2012-2013 წლებში დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელი, ხოლო, ბოლო ორი წელი ვარ გუბერნატორი, მათ იციან, რომ მე ყველა ის პრობლემა ვიცი, რაც სოფელში თუ ქალაქში ხალხს აწუხებს, თითქმის სათითაო ოჯახის მდგომარეობა ვიცი და, აქედან გამომდინარე, კარგად ვგრძნობ ხალხის მაჯისცემას. დეტალურად ვიცი, ვის რა აწუხებს. მოსახლეობამ ისიც იცის, რომ ჩვენ მათ წინაშე მდგარი პრობლემების ძალიან დიდი ნაწილი გადავწყვიტეთ, თუმცა, ძალიან დიდი ნაწილი კვლავ მოსაგვარებელია და გასაგრძელებელი. მე მზად ვარ ამისთვის.ერთს ვიტყვი, მე ჩემს მოსახლეობასთან კომუნიკაციის პრობლემა არ მაქვს. გეტყვით, რომ ძალიან კარგი განწყობა მოდის მოსახლეობიდან. გამომდინარე იქიდან, რომ ამ რაიონში მე უცხო არ ვარ და ჩემი ოჯახი ყველამ იცის, ძალიან თბილი შეხვედრები გამოგვდის, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მოსახლეობას.

-რატომ უნდა აგირჩიოთ ამომრჩეველმა თქვენ, ირაკლი შიოლაშვილი, რას პირდებით მოსახლეობას?

-მოსახლეობის მხრიდან დადებით განწყობას, როგორც შეხვედრებისას ისინი თავად აფიქსირებენ, განაპირობებს საქმეზე ორიენტირებული ადამიანის გამოჩენის მომენტი . მეორე,- დარწმუნებულები არიან იმაში, რომ პარლამენტში არ ეყოლებათ მხოლოდ რაღაც საკითხზე ხმის მიმცემი, ან არმიმცემი ადამიანი. ეს იქნება აქტიური ადამიანი, რომელიც იქნება ხმა, როგორც საქართველოს პარლამენტში, ასევე საქართველოს მთავრობაში და სამინისტროებში. ამ შემთხვევაში, ადამიანები ხედავენ კანდიდატს, რომელსაც შეუძლია იმ პრობლემების პარლამენტში წინ წამოწევა, რაც აწუხებს ჩვენს მოსახლეობას.

-გადავხედოთ თქვენი გამგებლობის და გუბერნატორობის პერიოდს, გავიხსენოთ, რა საქმეები უკავშირდება თქვენს სახელს?

-ამ ოთხი წლის განმავლობაში კახეთში გაკეთებული საქმეების სტატისტიკა იმდენად შთამბეჭდავია, რომ წინა ხელისუფლების პერიოდთან შედარებაც არ შეიძლება. პრაქტიკულად, პროექტები საერთოდ არ არის განხორციელებული წინა ხელისუფლების დროს, თუ არ ჩავთვლით ძალიან წვრილწვრილ საქმეებს. ჩემს სახელთან დაკავშირებულია საბავშვო ბაღებში გადასახადის გაუქმება ბიუჯეტის ხარჯზე, რომელიც იმდენად პოპულარული გახდა, რომ შემდეგ საქართველოს პარლამენტმა მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება და მთელს საქართველოში გახადა შესაძლებელი ეს შეღავათი. ამ რეფორმის შემდეგ კახეთის მასშტაბით ყველა საბავშვო ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, აღიჭურვა ისინი ყველა საჭირო ინვენტარით, ელექტროენერგიით, გათბობის თანამედროვე სისტემით, კვების ხარისხის ამაღლებასთან ერთად მოწესრიგდა სამაცივრე სისტემაც. ამას მოჰყვა უფასო სახელმძღვანელოების გადაცემა სკოლებში, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ძალიან ბევრ ოჯახს არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ წიგნები ეყიდა თავისი შვილისთვის. შემდეგ მოხდა უმაღლესი განათლების უფასო ფაკულტეტების დაშვება. ეს, რაც შეეხება განათლებას. ამას დაემატა საყოველთაო ჯანდაცვა, რომელიც ყოველთვის იყო აქტუალური. ოჯახი არ მეგულება, რომ არ ჰქონდეს ეს დაზღვევა გამოყენებული.

- თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ისეთი ადამიანებიც არიან დარჩენილი, რომლებიც ვერ მოხვდნენ საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში, მე ვიცი ქალბატონი, რომელიც ვერ იკეთებს ოპერაციას იმის გამო, რომ არც საპენსიო ასაკისაა და არც საყოველთაო ჯანდაცვით სარგებლობის შანსი აქვს.

-ასეთი ადამიანები არიან ძალიან ცოტა, პატარა სეგმენტია დარჩენილი, რომლებსაც კერძო დაზღვევა ჰქონდა, ამიტომ საყოველთაო დაზღვევა არ შეხვდა, კერძო დაზღვევა ველარ გააგრძელა და საყოველთაო დაზღვევაშიც არ მოხვდა. ეს იქნება ერთი ან ორი % ჩვენი მოსახლეობის. მე ვთვლი, რომ ეს იმდენად დიდი საქმეა, რომ დაზღვევის გარეშე დარჩენილი ნაწილი, ვერ გადაფარავს იმ სიკეთეს, რაც საყოველთაო დაზღვევამ მოიტანა. ჩვენ გვახსოვს ისიც, პაციენტი, რომელიც მოხვდებოდა საოპერაციო მაგიდაზე, სანამ მისი ახლობლები შესაბამის თანხას არ მიიტანდნენ, მანამდე ავადმყოფს ხელს არავინ ჰკიდებდა, ასეთი რეალობა იყო ჩვენს ცხოვრებაში. რამდენი ადამიანია ასე გარდაცვლილი იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ უბრალოდ ახლობლებმა საჭირო თანხა ვერ მიიტანეს. ჩვენ ეს ყველაფერი შევძელით. საყოველთაო დაზღვევის შემდეგ ჯერი მიდგა დედოფლისწყაროს საავადმყოფოს განახლებაზე, ვიცით, რომ რაიონში საავადმყოფო ძალიან ძველ შენობაში გვაქვს განთავსებული. რაც შეურაცხმყოფელიც კი იყო, როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ასევე პაციენტებისთვის. ჩვენ დავპირდით მოსახლეობას, რომ ავაშენებდით ახალ საავადმყოფოს. ამ იდეას ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, რადგან წინა წლების პრეცედენტი ახსოვდათ - ტყუილი დაპირება და იმედგაცრუება არჩევნების შემდეგ. ხვდებოდნენ, რომ ეს ყველაფერი იყო წინასაარჩევნო დაპირება, ბილბორდი დაიხურებოდა და ის დანაპირებიც საპნის ბუშტივით საღღაც ქრებოდა, რჩებოდა დანგრევის პირას მისული საავადმყოფო, ამოუვსებელი ორმოები, გასაკეთებელი საქმეები... ჩვენ რაც ვთქვით, ყველაფერი გავაკეთეთ, მათ შორის საავადმყოფოც ავაშენეთ, ავაშენეთ იუსტიციის სახლი ქედებში, ამას ვინმე წარმოიდგენდა, რომ ქედელებს იუსტიციის სახლი ექნებოდა, მაგრამ დღეს მათ აქვთ თანამედროვე იუსტიციის სახლი. ელემენტარულად დედოფლისწყარო თბილისს რომ დაკავშირებოდა, ეგრეთწოდებულ ტრაქტორის მონაკვეთამდე, პრაქტიკულად გაუვლელი გზა იყო, აღარ იყო საუბარი იმაზე, რომ რაიონი ვიყავით. დედოფლისწყარო რუკაზე არსებობდა, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევდა, ანუ პატრონი არ ჰყავდა აქაურობას, როდესაც ვთქვით, რომ ამ მაგისტრალს გავაკეთებთ, გზას გავატარებთ, შირაქშიც ჩავალთ და იქ იქნება გზა, ესეც წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი ეგონათ. ქვემო ქედში რომ ჩავედი და ხალხს ვუთხარი - მე გაგიკეთებთ გზას-მეთქი, არ დაიჯერეს, მითხრეს,- შენისთანა ბევრი მოსულა და წასულაო, მაგრამ აქ არაფერი არ გაუკეთებიათ და მოდი ნუ მოგვატყუებ, წადი აქედანო!- გულწრფელად გითხრათ, შეურაცხყოფილი წამოვედი, როგორ თუ ვერ გავაკეთებ- მეთქი. ერთხელ დააგეს საბჭოთა კავშირის დროს იქ გზა და მას მერე ინგრეოდა და,ფაქტიურად, გზა გზას აღარ ჰგავდა. ქვემო ქედშიც გავაკეთეთ გზა და შირაქშიც. და როდესაც ჩემი უცხოელი სტუმარი გავატარე იქ, გაუკვირდა, რადგან ის ადამიანი მანამდეც იყო ნამყოფი ამ გზაზე. აი, ეს სიტყვის კაცობის თემა რაღაცნაირად პოლიტიკიდან ძალიან შორს იყო, ყველა მაღალი თანამდებობის პირი, ვინც კი მოსულა, ატყუებდა ხალხს, ოღონდ ის წამიერი მოგება ენახა ხალხისგან. მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნათქვამი სიტყვის ასრულებაც შეიძლება თურმე. ამის შემდეგ, ჩვენ სკოლების რეაბილიტაცია მოვახდინეთ, ჭერი შევაკეთეთ, შევცვალეთ კარფანჯარა ...უამრავი პრობლემა იყო ინფრასტრუქტურის დარგში, რომელი საკითხის მოგვარებაც ჯაჭვურად არის ასხმული ერთმანეთზე. ინფრასტრუქტურული სამუსაოების შედეგად არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის იერ-სახე ლამაზდება, არამედ საქმდებიან ადამიანებიც. დედოფლისწყარო გახდა საქართველოს მასშტაბით წარმატებული რაიონი. ჩემი სტუდენტობის დროს ბევრმა არც იცოდა, სად იყო დედოფლისწყარო, ჩვენმა გუნდმა შექმნა ის, რომ დედოფლისწყარო საერთო ცნობადობით ძალიან გაიზარდა. აქ წამოვიდა უკვე ღონისძიებების ცვენა, მომღერლები ჩამოდიან, მსახიობები და საქართველოს ყველა კუთხიდან ხალხი ჩამოდის.

ჩვენმა გუნდმა სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის სფეროს ხელშეწყობისთვის. კახეთში დამონტაჟდა სეტყვის საწინააღმდეგო რადარები, რომლებიც გლეხის მოსავალს სეტყვისგან იცავს. მე შემიძლია ცალსახად ვთქვა, რომ ეს სისტემა არის უნიკალური. ჩვენი რაიონი და მთელი კახეთი არის დაცული სტიქიიდან 85-90% ფარგლებში. ჩვენც ვერ ვხვდებით ეს სისტემა ისე უხმაუროდ მუშაობს, ჩვენ რომ გვგონია წვიმა მოდის, ამის უკან შეიძლება იყო ძალიან დიდი სტიქია და სეტყვა, ბოლო წლებში მოსავლის ჭარბი ზრდა ნაწილობრივ უკავშირდება სწორედ სეტყვის საწინააააღმდეგო სისტემას, რომელმაც დაიცვა ჩვენი ცა. ხშირად ჩვენ იუმორითაც გვსაყვედურობენ სხვა რეგიონები, რომ აი, კახეთში დაიდგა სეტყვის საწინააღმდეგო და ჩვენთან სულ სეტყვაა, ეს იუმორია, მაგრამ ჯანსაღი იუმორია, რადგან კახეთში მართლა აღარ მოდის ის სეტყვა, მით უმეტეს ბოლო წლებში. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ სარწყავი სისტემის აღდგენის მცდელობა შირაქის ტერიტორიაზე. რაც გაკეთდა, ძალიან კარგად მუშაობს. საბჭოთა პერიოდის შემდეგ, ამ სისტემის მხოლოდ და მხოლოდ ნგრევა, აგურ -აგურ გატანა, მეტალის ჯართში ჩაბარება მიმდინარეობდა და ამით ჩვეულებრივი ადამიანები არ ითბობდნენ ხელს, ამას მაღალი თანამდებობის პირები კურირებდნენ, მათ გარეშე ვერცერთ ობიექტს ვერ მოიპარავდნენ და ვერ დაანგრევდნენ. ამ დროს ეს ადამიანები ხშირ შემთხვევაში, მოდიან და უნდათ, რომ ჩვენი კონკურენტები იყვნენ და როგორ იქნებიან კონკურენტები, როცა მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის მათ წლებში რა ხდებოდა?! რომ აღარაფერი ვთქვა, უკანონო დაჭერებზე, ადამიანების მკვლელობებზე და წამებაზე, გაუპატიურობაზე, ჩვენ არ ვამბობთ, რომ დღეს ყველაფერი მონესრიგებულია, ჩვენ ვამბობთ, რომ რაღაც გავაკეთეთ და კიდევ ძალიან ბევრია საძრომი იმისთვის, რომ ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს, მაგრამ სტარტი შევქმენით და აქამდე ამ სტარტის შექმნისთის ვიბრძოლეთ. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში არჩევანი მოსახლეობის მხრიდან ჩვენმა საზოგადოებამ სწორედ ჩვენზე უნდა გააკეთოს.

-რას იტყვით სოფლებზე?

-ქედის ზონაში წყლის გაყვანა თითქმის ყველას უტოპია ეგონა, მაგრამ ჩვენ დავხარჯეთ ძალიან დიდი ენერგია, ძალისხმევა და ქედების ზონაში დღეს წყალი ონკანებზე მოდის. მაქვს კიდევ სიახლე- მოვახდენთ ქედების ზონის გაზიფიცირებას. ამას გავაკეთებ აუცილებლად. პროექტი უკვე არსებობს და დიდი იმედი მაქვს, რომ სამუშაოები მომავალ წელს დაიწყება. რაც შეხება არბოშიკის, ოზაანის, მაჩხაანის სოფლებს, უამრავი რესურსი ჩავდეთ იქ, რომ მოსახლეობა არ დარჩენილიყო უკმაყოფილო. გარემონტდა სკოლები, ბაღები, ნაწილობრივ წყლის სისტემა, მოხდა სანიაღვრე არხების გაწმენდა, დამონტაჟდა გარეგანათებები, მოწესრიგდა გზები. ეს სიკეთე ყველა სოფელში მივიტანეთ. მართალია, წყალზე დღესაც პრობლემებია ზოგიერთ უბანში, თუმცა, დარჩენილია მცირე პრობლემები, რომელიც უკავშირდება გამრიცხველიანებას, რომ არ მოხდეს რესურსების უყაირათოდ ხარჯვა, ამ საკითხებსაც რომ დავალაგებთ, ჩავთვალოთ, რომ ამ ზონებსაც ექნება 24 საათიანი წყალმომარაგება და დედოფლისწყარო და უწყლო ქვეყანა -ეს ტერმინები ერთმანეთს ძალიან დაშორდება.

- დედოფლისწყაროში ზაფხულობით არსებულ წყლის დეფიციტზე რას იტყვით?

-გასულ წელს 2 მილიონ ლარამდე თანხა გამოგვიყო მთავრობამ. ეს იყო ძალიან დიდი შრომის ფასად გამოყოფილი თანხა, რის შედეგადაც ახლა ელიის მიმდებარე ტერიტორიაზე აბსოლუტურად ახალი სადრენაჟო სისტემა შენდება, რომელიც დასრულების შემდეგ მთლიანად მოხსნის ქალაქში წყლის კრიზისს.

-რაიონის და სოფლის კულტურულ ცხოვრებაზე რას იტყვით?

-კულტურის სახლი, რომელიც ჩამონგრევის პირას იყო და ქალაქის იერ-სახეს აუშნოვებდა, ჩვენ ჩავუტარეთ გარეფასადის რეაბილიტაცია, ხელოვნების სკოლას ჩაუტარდა რემონტი, დავამონტაჟეთ გათბობის სისტემა ხელოვნების სკოლასა და მუზეუმში. როდესაც ვსაუბრობთ პირობებზე, უნდა გავიხსენოთ სად ვიყავით, რა პირობებში ვიყავით და სად ვართ ახლა. ეს ყველაფერი ახსოვს ჩვენს მოსახლეობას. დღეს, მაგალითად, მირზაანში ჩავატარე შეხვედრა. ამ სოფელში გავარემონტეთ საბავშვო ბაღი, გამგეობის შენობა, სკოლა,სანიაღვრე არხიც გავაკეთეთ, გზა, რომელიც უკავშირდება ფიროსმანის მუზეუმს, მთლიანად ახლად მოვაასფალტეთ, ასევე ჩაირთო გარეგანათებები. ეს ყველაფერი ჩვენ გავაკეთეთ სამ-ოთხ წელიწადში, როდესაც წინა ოცი წელი რომ გადაითვალოს ადამიანმა, ამის მეათედი საქმე არ არის გაკეთებული. უბრალოდ, პროექტები ამოიღეთ წინა ოთხ წელში რა არის გაკეთებული, ვთქვათ მირზაანში, თუნდაც აქ, ქალაქში ნახეთ, ქუჩა მითხარით, რომელი დაგვრჩა მოსაასფალტებელი, რომელიც დაგვრჩა მოსაპირკეთებელი, ხუმრობაც კი დადიოდა, შეუძლებელია დედოფლისწყაროში ფეხსაცმლის გასვრა ცუდ ამინდშიო. ეს ხომ თავისით არ მოსულა?! ჩვენ ახლა წინ სწრაფი განვითარების ოთხი წელი გველოდება, ინფრასტრუქტურა პირველი ნაბიჯი იყო, შემდგომი ნაბიჯი იქნება, ტურისტულად მიმზიდველი გავხადოთ ქალაქი, ესეც ჩვენი სლოგანია: ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა. ამას ჩვენ გავაკეთებთ, რა თქმა უნდა, დიდ, საშუალო და წვრილ მეწარმეებთან ერთად.

-თავისთავად გადახვედით სამომავლო გეგმებზე...

-არ მინდა მეტად სამომავლო გეგმებზე საუბარი. ცხოვრება განვითარებადია. არც ერთმა მთავრობამ არ უნდა ჩათვალოს, რომ მე ეს გავაკეთე და რა მაგარი ვარო! ქვეყანა ჰგავს სახლს, სადაც ერთ რაღაცას გააკეთებ, მეორე იჩენს თავს, ამიტომ მუდმივად განვითარება ნორმალური პროცესია, როდესაც ჩვენ მოსახლეობის ნდობაზე ვსაუბრობთ, ჩავთვალოთ, რომ ეს ნდობა ძალიან დიდი მაქვს. იმიტომ, რომ, რაც ვთქვი, ის ყველაფერი გავაკეთეთ. ელემენტარულს გეტყვით- ელიას მთაზე ასასვლელი გზა რა დღეში იყო, ჩამოსული სტუმარი ვერ მიგვყვავდა სირცხვილით, დღეს ჩვენ თავმომწონედ ავდივართ ელიას მთაზე. ამას ძალიან დიდი შრომა სჭირდებოდა, მის დაპროექტებაში, ფინანსების მოპოვებაში, ცოტა შრომა არ ჩაგვიდია. ვიზუალურად ყველაფერი ლამაზი იყოს, ეს უკვე მზადყოფნაა იმისთვის, რომ იქ ტურიზმი განვითარდეს. ჩვენ გვაქვს უნიკალური ადგილები, როგორიცაა თამარის ციხე, ნიკო ფიროსმანის მუზეუმი, ელიას მთა, ვაშლოვანი, არწივის ხეობა და ტბის რესურსი, ეს ყველაფერი რეალურად რომ გაკეთდეს, უნდა შევისწავლოთ და მოვიფიქროთ, სად რა რესურსი შეიძლება მოვიძიოთ, ყველა ადგილი ტურისტულად რომ დავტვირთოთ, ეს ნიშნავს, რომ სამ-ოთხ წელიწადში რაიონს სხვანაირი ცხოვრების სტიმული მიეცემა.

(გაგრძელება გვ. 6)

უმაღლესი ხარისხის ჯილდო – აგვისტოს გმირებს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის კახა კახიშვილის გადაწყვეტილებით, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეცრაზმის წევრებს სამინისტროს უმაღლესი ხარისხის ჯილდო მიენიჭათ. მათ შორის არიან დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოსა და სოფელ ზემო ქედიდან დაღუპული 18 წლის გმირები გიორგი აბიათარი და გოჩა ილურიძე. ისინი სასჯელაღსრულების სამინისტროს სპეცრაზმში ირიცხებოდნენ.

მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სამინისტროს უმაღლესი ხარისხის ჯილდო, სახელწოდრებით: - პირველი ხარისხის მედალი „კანონისა და ღირსების სადარაჯოზე“ - სამინისტროს ისტორიაში პირველად, სწორედ, 2008 წლის 8 აგვისტოს დაღუპულ სპეცრაზმელებს გოჩა ილურიძეს, გიორგი აბიათარს, ილია შავერდაშვილსა და ბესიკ მამიაურს მიენიჭათ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლებმა დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს მშობლიურ რაიონებში ჩააკითხეს და ჯილდო პირადად გადასცეს. ამასთან, დაღუპულ ჯარისკაცებს სამხედრო პატივი მიაგეს და მათი საფლავები გვირგვინით შეამკეს სოფელ სამრეკლოსა და ზემო ქედშიც. დაღუპული ჯარისკაცები გიორგი აბათარი დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში, ხოლო გოჩა ილურიძე სოფელ ზემო ქედშია დაკრძალული.

შეგახსენებთ, გასულ წლებში სასჯელაღსრულების სამინისტროს ეზოში გმირთა მემორიალი გაიხსნა, რომელზეც ოთხი კახელი გმირის გვარია ამოტვიფრული. გასულ წელს სამინისტროს მემორიალთან მიწვეულ გმირების ოჯახის წევრებს თავად მინისტრმა კახა კახიშვილმა უმასპინძლა. ამჯერად კი სამინისტროს წარმომადგენლები კახეთს ესტუმრნენ.

ფარნაოზ მოლოდინაშვილი – **სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს უფროსი:** – „ჩვენს სამინისტროში შემავალი მებრძოლებიდან ოთხი მათგანი რუსულ ინტერვენციას შეეწირა და ოთხივე კახეთის რეგიონიდან იყო, ამდენად, მინისტრის ბრძანებით დღეს კახეთს ვეწვიეთ, ოთხივე გმირის საფლავს პატივი მივაგეთ და პირველი ხარისხის მედლები გმირების გამზრდელ დედებს მათი შვილების საფლავებთან გადავეცით.“

გმირების დედები მადლობას გამოხატავდნენ, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო არ ივიწყებს მათ შვილებს და ყოველთვის ყურადღებას იჩენს.

ლიზა აბიათარი – **გიორგი აბიათარის დედა**: – „გიორგის ყოველთვის ძალიან უნდოდა ჯარში წასვლა. ბავშობიდან ოცნებობდა სამხედრო ფორმა სცმოდა და სამშობლო დაეცვა. დედისერთაა და სავალდებულო სამსახური არ ეხებოდა, მაგრამ, მისი თანაკლასელები მიდიოდნენ და არ გაჩერდა, როგორც მოხალისე, ისე წავიდა. ჯარში ახალი გაწვეული იყო, როცა ომი დაიწყო და ცხინვალში წაიყვანეს. კასეტური ბომბის ჩამოვარდნის შემდეგ ოთხი ახალგაზრდა დაიღუპა. როცა ბომბი ჩამოაგდეს, მაშინვე

არ აფეთქდა. სხვებმა დაუძახეს დაწექითო, დაწვნენ, მაგრამ რომ დაეცა და არ აფეთქდა ისეც ადგნენ და ამ დროს დაიღუპნენ. ახლა, როცა სამინისტრო ყოველწლიურად გვერდით გვიდგას და არ ვავიწყდებით, ყოველთვის გვეხმიანებიან და ვახსოვართ, ახლა ვხვდები, რა კარგი შვილი მყოლია.“

მანანა ყაბანაშვილი: – **გოჩა ილურიძის დედა:** – „ჩემი ორივე შვილი აგვისტოს ომში იყო, გიორგიც და გოჩაც... უფროსი ბიჭი საკონტრაქტო სამსახურში იყო, პატარა კი სავალდებულო სამსახურს იხდიდა. გოჩა 27 მაისს წაიყვანეს ჯარში და ორთვენახევარში დაღუპული ჩამოასვენეს. მაგრამ, საწუწუნოდ არ გვაქვს საქმე, სხვა ოჯახებისგან განსხვავებით ჩვენ ასე თუ ისე ვიცით სად არის ჩვენი შვილების საფლავები და შეგვიძლია მოვიდეთ და ვუპატრონოთ. აგვისტოს ომის შემდეგ ისეთი ოჯახებიც ხომ არიან, რომელთაც ამ დრომდე არც ცოცხალი უნახავთ შვილები და არც მკვდარი, საფლავიც არ აქვთ, რომ დაიტირონ. პირველად რომ მითხრეს, შვილი აღარ გყავსო, მაშინვე ვიფიქრე, რომ უფროსი ბიჭი დაიღუპა, რადგან მას გამოცდილება მეტი ჰქონდა და მეგონა ომში ის იქნებოდა, რადგან გოჩა გამოუცდელი და ასაკით პატარა იყო, არ მიფიქრია იმაზე, რომ გოჩა იყო“.

ილია მარტყოფლიშვილი

ქორწინება, ოჯახი და რეფერენდუმი

„ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან,
ერთი ოთახის ამარა დავრჩით.
ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი აქვს,
სამი ფანჯარა:
მე,
შენ და ბავშვი.
მე, შენ და ბავშვი ოქროს სიზმრებად
და ოცნებებად დავიხარჯებით,
ჩვენ გავმრავლდებით და გავიზრდებით,
მოემატება სახლს კარ-ფანჯრებიც“

ეს შოთა ნიშნიანიძის ლექსია, რომელიც ახალგაზრდა ოჯახზე გვიყვება ამბავს, სადაც სიღარიბის მიღმა არსებობს უფრო ფასეული- ნამდვილი სიყვარული, რომელიც ყველა დაბრკოლებას ლახავს... ეს სტრიქონები კიდევ ერთხელ შეახსენებს ადამიანებს, რომ ანგარებით შექმნილი ოჯახი მყიფეა და ქორწინება - დროებითი, ანდა, ასეთ კავშირს ხშირად მივყავართ ფსევდოოჯახებამდე, სადაც სიყვარულის დეფიტია. ამასვე ამბობს ეკლესია.

სრულიდ საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე 2014 წლის საშობაო ეპისტოლეში ოჯახის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ ქრისტიანულ ოჯახში თავს იჩენს არაერთი განსაცდელი, რაც ურთიერთსიყვარულით უნდა დაიძლიოს. და თუ ეს ასე არ ხდება, იქ არც არის ნამდვილი ოჯახი.

“ოჯახი არის ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედი. იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი — “მცირე ეკლესია.”

ქრისტიანობა ქორწინებას ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევს. ეს არის საიდუმლო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთიური სიყვარულისაც. ოჯახური ცხოვრება ქრისტიანული ღვანლია, გზაა სულის ხსნისა, რადგან იგი გულისხმობს არა მარტო ერთად ცხოვრებას, არამედ ერთმანეთისათვის ცხოვრებას.

ბიბლია გვასწავლის, რომ ოჯახის უფალი არის ღმერთი, რომელმაც ადამისა და ევას სახით მთელი კაცობრიობა შექმნა. ამდენად, ყველა ადამიანის მამა, ამ სიტყვის ყველაზე სრული და აბსოლუტური მნიშვნელობით, არის თვით შემოქმედი.

ჭეშმარიტი ქრისტიანული ოჯახისთვის მარტო სიყვარული და ერთმანეთისაკენ სწრაფვა არ არის საკმარისი. ოჯახი მოწოდებულია იქცეს “მცირე ეკლესიად,” მარადიული სიყვარულის ცოცხალ ხატად, რომელშიც ღვთის მცნებებს იცავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ“ - ამბობს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

ოჯახი ერთ-ერთი უდიდესი ღირებულებაა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათაგან, რომლებიც კაცობრიობამ შექმნა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების მანძილზე. ვერც ერთი ერი, ვერც ერთი კულტურის მატარებელი საზოგადოება ვერ ასცდა ოჯახს, როგორც სოციალურ ფენომენს. მის პოზიტიურ განვითარებაში, შენარჩუნებაში, განმტკიცებაში დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, სახელმწიფო; მისი ურყეობა სჭირდება ყველა ადამიანს, განურჩევლად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, რელიგიური მრწამსისა, კანის ფერისა, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმოშობისა. თანამედროვე მეცნიერებაში არ არსებობს ოჯახის, როგორც ფენომენის, საყოველთაოდ აღიარებული სრულყოფილი განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური ურთიერთობებიც თავისი ემოციური დატვირთვით სხვადასხვა სახისაა, რამდენადაც პიროვნული ურთიერთობები ოჯახის წევრთა შორის შეიძლება იყოს ღია ან დაფარული, ოჯახის წევრებს შეიძლება სძულდეთ ან უყვარდეთ ერთმანეთი, მათ შორის იყოს ურთიერთგაგება და თანაგრძნობა, ან დაპირისპირება და გაუტანლობა. ბედნიერია ოჯახი, სადაც თავს ყველა კარგად გრძნობს. კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ოჯახმა არსებითი ცვლილებები განიცადა. მეტწილად ეს ცვლილებები შეეხო ქორწინების, შეუღლების დანიშნულებას, რიტუალებს, წეს-ჩვეულებებს, დაქორწინებულთა უფლებებს და მოვალეობებს.

ოჯახი და ქორწინება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ჩამოყალიბდა. სამართლებრივი და ზნეობრივი პრინციპებით ერთმანეთისაგან განსხვავდება საეკლესიო და სამოქალაქო ქორწინებები. ქორწინება აერთიანებს ქალსა და მამაკაცს, ერთ ოჯახად წარმოადგენს მათ შვილებთან და, ხშირ შემთხვევაში, ახლო თუ შორეულ ნათესავებთან ერთად. ოჯახი დახურული და ხელშეუხებელია უცხო პირთათვის, ერთგვარი აუღებელი ციხე-სიმაგრეა.

ოჯახში იწყება ბავშვის აქტიური ურთიერთობა, მისი ძირითადი თვისებების აღმოცენება. აქ ეყრება საფუძველი მის ზნეობასა და მორალს, ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებებს, პიროვნულ თვისებებსა და რამდენადაც ყველაფერი ეს პირველადია თავისი წარმოშობით და განვითარებით, ისინი დიდხანს და მკვიდრად მყარდებიან ბავშვის არსებაში, როგორც პიროვნული თვისებები. ბავშვისათვის მშობელთა დამოკიდებულება შრომისადმი, ადამიანებისადმი, საზოგადოებისადმი ზნეობრივ ღირებულებათა მიმართ, უპირველესი წაბაძვის საგანია. მოზარდები ცდილობენ, გადმოიღონ მათგან როგორც კარგი, ასევე ცუდი ჩვევები.

ოჯახი - პირველადი კოლექტივია. მის წევრებს აქვთ ერთანაირი ინტერესი და პასუხისმგებლობა ოჯახისადმი. ყოველ მათგანს შეაქვს წვლილი მისი თითოეული წევრის მიმართ მზრუნველობაში, ყველა შრომობს, ერთად ისვენებენ. ბავშვების სიხარულს თუ ტკივილს ოჯახის ყველა წევრი ერთნაირად განიცდის. მშობლები ყოველ წუთს მზად არიან უთანაგრძნონ, დახმარება გაუწიონ

მათ, მშობლები ესაუბრებიან შვილებს თავიანთ მიღწევებსა თუ წარუმატებლობაზე. ოჯახის კოლექტივს შეადგენს როგორც დედ-მამა, ასევე შვილები. როდესაც ერთ-ერთი მშობელი მიატოვებს ოჯახს, მაშინვე მცირდება, კნინდება ოჯახის აღმზრდელობითი როლი და მნიშვნელობა. ოჯახის დაშლა უდიდეს ტრავმას წარმოადგენს თითოეული წევრისათვის, შვილები მტკივნეულად განიცდიან დედის ან მამის მოშორებას. მოზარდები იცვლიან ხასიათს, ხდებიან ჯიუტები, ფეთქებადები და უნდობლები, უხეშები, კონფლიქტურები თანატოლებისა და უფროსების მიმართ, უპასუხისმგებლონი თავიანთ მოვალეობათა მიმართ, ხშირად კი ქუჩის არც თუ ისე სასურველი ზემოქმედების მსხვერპლადაც გვევლინებიან.

შვილების ოჯახში აღზრდა ყველთვის არ არის წარმატებული. აქ დაშვებული შეცდომები და გადახრები საზიანოა არა მარტო ოჯახისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც. ამ შეცდომათაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია მშობელთა ავტორიტარიზმი, რომელიც ავიწროებს შვილების თავისუფალი, დამოუკიდებელი ქცევისა და მოქმედების არეალს, ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, უკარგავს მათ რწმენას საკუთარ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობათა მიმართ.

ოჯახურ აღზრდაში ამის საპირისპირო შეცდომაა შვილების უსაზღვროდ განებივრება, მათი ყოველგვარი მოთხოვნების დაკმაყოფილება და უკონტროლობა, ოჯახური საქმეებით დატვირთვისაგან მათი გათავისუფლება, რაც აქვეითებს მათ პასუხისმგებლობას, მათი ნებელობის განვითარებას, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მოზარდის აღზრდაზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ასევე ისეთი ვითარება, როდესაც განსხვავებულ მიდგომებს იჩენენ დედა, მამა, ბებია, ბაბუა. ასეთი შემთხვევაში ბავშვს უვითარდება პირფერობა, იგი ლაქუცობს, ცრუობს და არ ერიდება სხვა უზნეო ქცევებსაც.

ოჯახური მიკროკლიმატი და ოჯახის კულტურა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში.

დიახ, „ოჯახი ჯუჯა დიქტატურაა“, ამიტომ მყარ და ძლიერ ოჯახებზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ბედი. მორალურ და სიყვარულით აღსავსე ოჯახებში ხშირად ასეთივე ბავშვები იზრდებიან, რადგან მაგალითს, განსაკუთრებით კი მშობლებისას, ყველაზე დიდი ძალა აქვს.

დედ-მამას შორის ურთიერთობა და მათი ზნეობრივი დონე ისეთი ფაქტია, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს მოზარდის ჩამოყალიბებაში. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თავიანთი საქციელით ბავშვის გონებაში ტოვებენ კვალს, როგორც უპასუხისმგებლო ადამიანები, მოზარდის ცნობიერებიდან ამ კვალის ამოშლა ძალიან ძნელია, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად შეუძლებელიც კი. ამის გამო მშობელი ვალდებულია, იმ უსაზღვრო სითბოსა და სიყვარულთან ერთად ბავშვს კარგი ადამიანობის მაგალითიც უჩვენოს.

საქართველოში ოჯახის ინსტიტუტი ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ ბოლო დროს მიმდინარე ხმაური ქორწინების საკითხთან დაკავშირებით, გასაკვირი სულაც არ არის. მართლმადიდებლურ სახელმწიფოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება რომ ილუზიაა, ვფიქრობ, სადავო არც უნდა ყოფილიყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ერთსქესიანთა ქორწინება იმ ქვეყნებშიც კი არ დაუშვეს, როგორიცაა ევროპის წამყვანი სახელმწიფოები, და როდესაც ქვეყნის მთავარ დოკუმენტში- კონსტიტუციაში გარკვევითაა გაკეთებული ჩანაწერი, რომ „ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი“, ამას აღარავითარი რეფერენდუმი ან პლებისციტი აღარ სჭირდება, ყველაფერი ისედაც ნათელია...

ინგა შიოლაშვილი

ქალა ერთოგაშია

1989 წლის ივნისი იყო, ზუსტი თარიღი არ მახსოვს. ხალხს 9 აპრილს გაღვივებული ეროვნული მუხტი თანდათან უძლიერდებოდა.დედოფლისწყაროში ხმა გავრცელდა, უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს პატრიარქი ილია II მობრძანდებაო. ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმით ცხოვრობდა ქვეყანა, მაგრამ ხალხმა იხუვლა და, დიდი თუ პატარა, ერის სულიერი მამის სანახავად გამოეფინა. ბევრის გასაკვირად, მასპინძლობა რაიკომის პირველმა მდივანმა დავით სავანელმა ითავა. საუცხოო სანახავი იყო ჭარმაგი პატრიარქი თეთრი, ქათქათა წვერით და შავი თმით. მან მოილოცა წმინდა სერაფიმე საროველის ტაძარში, შემდეგ ელიაზე ავიდა და ბოლოს კვერთხი მაშინდელი კურიშკოს (იგი საბჭოთა არმიას შემოუძღვა წითელწყაროში და სწორედ მისი ძეგლი „ამშვენებდა“ დიდრონი ფიჭვებით დამშვენებულ მიდამოს, სადაც პიონერულ ფიცს დებდნენ მოსწავლეები) პარკის შუაგულში დადო და თქვა: აქ აშნდება მარიამ ღვთისმშობლის სახელზე ტაძარიო. ბევრი ყოყმანის შემდეგ დავით სავანელმა მაინც შეჰბედა: - უწმინდესო, უხერხული ხომ არ იქნება, გზის ერთ მხარეზე კომუნისტური პარტიის რაიკომის ადმინისტრაციული შენობა იდგას და მეორე მხარეს - ეკლესიაო? ილია მეორეს გაეღიმა და მიუგო: - რამდენი წელია, რაც თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მთავრობის სახლი და წმინდა გიორგის სახელობის ქაშვეთის ტაძარი ერთმანეთს უყურებს, რა შავდებაო?! ხალხის აზრი მაინც ორად გაიყო, ვერ წარმოედგინათ, ქალაქის ცენტრში სალოცავის არსებობა, ფიქრობდნენ, ასე, ყველას დასანახად, ეკლესიაში როგორ ვივლით, ან სანთელს როგორ ავანთებთ, ან შესაწირ ფრინველსა თუ საკლავს როგორ დავკლავთ და ვიქეიფებთო. მეორენი კი ადგილს იწონებდნენ: - კარგია, ქალაქის ცენტრში რომ იქნება, მისასვლელად ქალაქის ყველა კუთხეს თანაბარი შესაძლებლობა ექნებაო. მაშინ ყველა გრძნობდა, რომ რაღაც მძლავრად შეირყა, მაგრამ კომუნისტების ხელისუფლებიდან წასვლას და საერთოდ გაქრობას მაინც ვერ წარმოიდგენდნენ. თუმცა, დრომ ბევრი რამ შეცვალა და, მათ შორის, რელიგიისა და ეკლესიისადმი დამიკიდებულებაშიც.



1998 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთვის დაიწყო საძირკვლის ჩასხმა ქ. დედოფლისწყაროს ცენტრში ღვთისმშობლის შობის ხარების ეკლესიის ასაშენებლად. (შემდგომში ტაძარი დარეგისტრირდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე).

1998 წლის 1 ივნისს, ნინოობის დღესასწაულზე წმინდა ნინოს გზის გასავლელად ჯავახეთიდან მისი ხატი შემოაბრძანეს, რომელმაც მთელი საქართველო მოიარა, მათ შორის იყო დედოფლისწყაროც. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა საძირკვლის ჩასხმა ახალი ტაძრის ასაშენებლად. დედოფლისწყაროს რაიონულმა გამგეობამ, გამგეობის თავმჯდომარე გახლდათ თემურ ლომაშვილი, საქმის მწარმოებლად სამუშაოს მწარმოებელთა სააქციო საზოგადოება „გრანიტის“ დირექტორი, ინჟინერ-მშენებლი ნოდარ ხატიაშვილი დაამტკიცა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ამოიღო საძირკველის პირველი ყოში მიწა მეექსკავატორე ალექსანდრე (სანია) გლაზინმა. გაიხსნა ანგარიშის ნომერი ბანკში მშენებლობის საწარმოებელი თანხის მოსაგროვებლად.1999 წლიდან დედოფლისწყაროში ახალი მოძღვარი მოვიდა- მამა ნიკოლოზი(ლომსაძე). საზოგადოებამ მალე შეიყვარა ეს უაღრესად კეთილშობილი, წესიერი, ალალი ადამიანი. მის მიმართ ნდობაც მაღალი იყო და, გაჭირვების მიუხედავად, ხალხმა შესაწირის გაღება დაიწყო. სწირავდნენ ვისაც რის საშუალება ჰქონდა- ზოგი ბევრს, ზოგი-მცირეს, მაგრამ გულით და იმის სურვილით, რომ ეკლესია მალე აშენებულიყო. თანხის გარდა სწირავდნენ სამშენებლო მასალებს როგორც ორგანიზაციები, ასევე პიროვნებები. ხალხი, გასამრჯელოს გარეშე, ფიზიკურად შრომობდა, აგურს-აგურაზე ადებდა, შრომობდნენ რიგითი ადამიანები, მოსწავლე-ახალგაზრდები, დაწესებულებათა ხელმძღვანელები, გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი თანამშრომლები. ხარაჩოები ნელა, მაგრამ მაინც ზემოთ მიიწევდა. ბევრმა ვინმემ დასდო დიდი ამაგი ამ მშენებლობას, დღეისთვის სამ მათგანს გამოვარჩევდი, ამ ქვეყნიდან წასულ სამ ადამიანს, რომლებმაც თავისი გამორჩეული წვლილი შეიტანეს ამ საშვილიშვილო საქმეში- მშენებელ კირით- ხუროს ზაურ გონაშვილს, ორგანიზატორებს: ილია პოპიაშვილს და სულ ახლახანს შესვენებულ ილია ჯინაშვილს.

2005 წლის 28 აგვისტოს, ჯერ კიდევ დაუსრულებელ ტაძარში, მამა ნიკოლოზმა პირველი წირვა ჩაატარა. 2006 წლიდან კი ტაძარი სრულად მოქმედი გახდა და დაიწყო საეკლესიო ცხოვრება. მეათე წელია, აქ ზარი მრევლს უხმობს და ადამიანებს უფლის სადიდებლად განაწყობს. სწორედ ათი წლის თავზე ტაძრის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დადგა: - ისედაც ხატებით უხვად შემკული ტაძრის მოხატვა დაიწყო. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსის მეუფე დიმიტრის (ნოზაძე) და ტაძრის წინამძღვარის დეკანოზ ნიკოლოზის (ლომსაძე) ძალისხმევით და ინიციატივით ხატმწერმა ელგუჯა (გუჯა) ტუჩაშვილმა საკურთხევლის მოხატვა უკვე დაიწყო. ალბათ, გაინტერესებთ, ვინ არის, აქ საიდან მოხვდა და რა გამოცდილება აქვს ამ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ასეთი სერიოზული საქმე იდო თავს.

ჩვენი ერთ-ერთი მოქალაქე რომელიც თბილისშიც ცხოვრობს და დედოფლისწყაროშიც ნაფუძვარი სახლის კერას არ აციებს, სწორედ თბილისში, მახათას მთის სამონასტრო კომპლექსში სულთმოფენობის ტაძრის მოხატვისას გაიცნო გუჯა ტუჩაშვილი, მოეწონა მისი ნამუშევარი და შეახვედრა ის მეუფე დიმიტრის და დეკანოზ ნიკოლოზს. შეთანხმება შედგა და სამუშაოც დაიწყო.

მინი დოსიე: ელგუჯა ტუჩაშვილი წარმოშობით ყაზბეგიდანაა. თუმცა, თბილისში დაიბადა და გაიზარდა, მაინც ძალიან უყვარს მამა-პაპისეული ეზო-კარი და ხშირადაც სტუმრობს მას. ის 1972 წლის 13 მაისს დაიბადა. ძმასთან და დასთან ერთად გაიზარდა და კარგი განათლება მიიღო. 1996 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა, რომელიც, თავისთავად, მხატვრობის სწავლებასაც ითვალისწინებდა, ამიტომ მან ძირითად მიმართულებად ხატვა აირჩია და დაიწყო ხატვა ზეთის საღებავებით ტილოზე. რთული დრო იდგა საქართველოში, სიბნელე, ტყვიების უმისამართო ზუზუნი და განუკითხაობა, ვის ეცალა ხელოვნებისთვის. გუჯა თავისი შემოქმედებითი პოტენციალით და თავდაჯერებულობით ჯერ რამდენიმე წელი მოსკოვში ცხოვრობდა, და მუშაობდა, შემდეგ – საბერძნეთში. მისი კლასიკურ სტილში შესრულებული ნამუშევრები მოწონებით სარგებლობდა და დიდი მოთხოვნილებაც იყო. მონაწილეობდა სხვადასხვა გაყიდვა-გამოფენაში. ამ გზით მისი ნამუშევრები ევროპის მრავალ ქვეყანაში გადიოდა.საბერძნეთში ყოფნისას დაინტერესდა ბიზანტიური ხატწერით და გადაწყვიტა, საფუძვლიანად დაუფლებოდა. გადაწყვიტა და გამოუვიდა კიდეც. წარმატებების და მატერიალური უზრუნველყოფის მიუხედავად, ნოლტალგიის მწარე ნაღველი არ ასვენებდა, ენატრებოდა თბილისი, მეგობრები, ახლობლები, ყაზბეგის თვალშეუდგამი გოროზი მთები, მყინვარწვერის ბდღვრიალი მზის ამოსვლისას და გერგეთის სამების ეკლესიაში პირჯვრის გადაწერა. 2003 წელს მომხდარმა რეზონანსულმა „ვარდების რევოლუციამ“ სტიმული მისცა და ... 2005 წელს საქართველოში დაბრუნდა. დიღომის წმინდა გიორგის ტაძრის მოხატვა შესთავაზეს. კარგად გამოუვიდა.მერე ქარელში კოშკი მოხატა. იქიდან ქუთაისში გადაინაცვლა.პარალელურად ხატებსაც წერდა. მრავალ ეკლესიას ამშვენებს მის მიერ შესრულებული და ნაჩუქარი ხატი, მათ შორის 5 ხატი თვით პატრიარქისთვის აქვს ნაჩუქარი. ბოლოს მახათას მთის სამონასტრო კომპლექსში სულთმოფენობის ტაძრის მოხატვა დაიწყო და სწორედ იქ გაიცნო დედოფლისწყაროელი ადამიანი, რომელიც ამ ეკლესიის მრევლი გახლდათ და რომელმაც დედოფლისწყაროსთან დაიკავშირა. მისი რეკომენდაციით დედოფლისწყაროში მოხვდა და 4 აგვისტოდან საქმესაც შეუდგა. საკურთხევლის ნაწილი უკვე მოხატა, რაც მისი, როგორც პროფესიონალის ხედვის დანახვის საშუალებას აძლევს მნახველს. ხედვა კი ნამდვილად საინტერესო აქვს:- წმინდანის სახიდან სითბო და სათნოება უნდა იღვრებოდესო, – ამბობს ის.

-გუჯა, რამდენი ხანი დასჭირდება ამ სამუშაოს?

- საკურთხევლის მოხატვა, დაახლოებით, 2 თვეში დასრულდება, ხოლო მთელი ტაძარი 2 წელში მოიხატება.

-მოხატულ ტაძარში ხატები, რომელიც დღეს მრავლად არის აქ, როგორ განლაგდება, არ დაფარავს ძირითად ნახატს?

-არა, ზოგადად, იატაკიდან 1,30-1,50 მეტრის სიმაღლეზე შეწყდება ხატწერა, დაბლა ნაწილი ერთ სტილში ფონის სახით გაფორმდება, ამაზე შვთანხმდებით მეუფესთან და შევარჩევთ. სწორედ ამ ნაწილში განთავსდება ხატები.

– ძალიან კარგ ფერებში გაქვთ გადაწყვეტილი, თუ, რა თქმაუნდა, მალე არ გახუნდა!

– არა, გარანტიას გაძლევთ, რომ ფერს არ შეიცვლის. მე სპეციალურ მზა გერმანულ საღებავს ვხმარობ, რომელიც, ცოტა ძვირია, მაგრამ მაღალხარისხიანი. ეს საღებავები გამოცდილია და აპრობირებულია სხვადასხვა ქვეყნის მიერ.

-ღმერთმა ქნას. ჩვენც ეს გვინდა.!

ცნობისმოყვარეებს მინდა ვუთხრა, რომ გუჯას სამი, ერთმანეთზე უკეთესი შვილი ჰყავს-ორი ბიჭი და ერთი გოგონა. იმედია, ისინი იამაყებენ მამის შემოქმედებით.

მრევლს ვაცნობებ, რომ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ჩვეულ რეჟიმში გრძელდება და მიმდინარე სამუშაოები ხელს არ შეუშლის პროცესს.

(გაგრძელება გვ.8)

საპატრიარქოს სკოლა დაიწვა

ხანძრის შედეგად 17 აგვისტოს ღამით დედოფლისწყაროში მოქმედი საპატრიარქოს სკოლა დაიწვა. მთლიანად განადგურებულია სკოლის ახალი შენობა, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიაში ამ ეტაპზე ვერ საუბრობენ. თუმცა ამბობენ, რომ სექტემბრიდან სასწავლო პროცესი არ ჩავარდება. დამწვარია 1300 კვადრატული მეტრის ფართობი. სკოლაში ამბობენ, რომ ზარალის ოდენობა დაახლოებით 200 000 ლარია. მომხდარზე გამოძიება შინაგან საქმეთა დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველომ დაიწყო, მიმდინარეობს ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც უახლოეს ხანში იქნება ცნობილი.

ახალ შენობას საპატრიარქოს სკოლა ზედა საფეხურის სწავლებისთვის ამზადებდა, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან უნდა გამოეყენებინა. სკოლა, რომელიც ორი წლის წინ გაიხსნა, საპატრიარქოდან ყოველწლიურად 140 000 ლარით ფინანსდება.

თეა სხირტლაძე (სკოლის დირექტორი): „დამწვარია მეორე სასწავლო კორპუსი, რომლის რეაბილიტაციაც თითქმის დასრულებული იყო და მზადდებოდა საბაზო საფეხურისთვის. აქ უნდა განთავსებულიყო სამი სასწავლო კლასი. გაკეთდა ორი ლაბორატორია, ექვსი საპირფარეშო, სამასწავლებლო ოთახი. ასევე დასრულებული იყო სპორტდარბაზის, სამზარეულოს და დიდი სატრაპოეზოს მოწყობა. ღამის სამ საათზე შევიტყვეთ და როცა მოვედით უკვე მეხანძრეები აქრობდნენ. ელექტრო გაყვანილობა მთლიანად ახალი იყო, რაც მთავარია ჯერ დენი ჩართული არ გვქონდა, შესაბამისად, ვერსიებზე ჯერ საუბარი მიჭირს. შეიქმნა სპეციალური საბანკო ანგარიში, თუ ვინმეს სურვილი ექნება, რომ განადგურებული სკოლის აღდგენაში წვლილი შეიტანოს, შეუძლია შემოწირულობა გააკეთოს. წინასწარ მადლობას ვუხდი ყველას, თანადგომისთვის.

მეუფე დიმიტრი: „მეშვიდე მეცხრე კლასები უნდა განთავსებულიყო ამ შენობაში, აქვე იქნებოდა ძირითადი სატრაპეზო. ღამის სამი საათი ხდებოდა, როცა დამირეკეს და შემატყობინეს ამ ამბის შესახებ. მაშინვე მოვედით და რამდენიმე ეკიპაჟი უკვე აქრობდა. ჯერ ვერსიებზე ვერ ვისაუბრებ, შესაბამისი სამსახურები მუშაობენ და იმედი მაქვს, რომ გამომწვევ მიზეზს დაადგენენ“.

საქართველოს ბანკი“ GE 34 BG 00 00 000 52 05 28 000.
მიმღები: „ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიის განვითარების ფონდი“

პეტრე არაბული (სკოლის დარაჯი): „პოლიცია და სახანძრო ეკიპაჟები რომ მობვიდნენ მათ გამაღვიძეს. მეძინა და არაფერი გამიგია. არც სუნი მომსვლია. პირდაპირ ხომ პოლიციის შენობაა და იქ დაუნახიათ, რომ ბოლავდა. მაშინვე გავხსენით ქუჩა, შემოვიდნენ, მაგრამ წყლის ჭავლი ვერსაიდან ვერ მიუყენეს. შემდეგ ექსკავატორი მოვიდა, ჭერი ასწიეს და ისე დაიწყეს ქრობა, სხვანაირად ვერ ახერხებდნენ“.

ილია მარტყოფლიშვილი

გთხოვთ, გულისხმიერებას - სურვილისა და შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიოთ დახმარება. საქართველოს ბანკში“ GE 34 BG 00 00 000 52 05 28 000. მიმღების დასახელება: „ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიის განვითარების ფონდი“. შემომწირველები მოხსენიებულნი იქნებიან ღვთისმსახურებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას, ღმერთმა დაგლოცოთ!

საშვილოსნოს ყელის კიბოს უფასო გამოკვლევა და დიაგნოსტიკა

დედოფლისწყაროს საავადმყოფო - პოლიკლინიკური გაერთიანების ხელმძღვანელმა ხათუნა აგლაძემ მოგვაწოდა. დაწვრილებით ინფორმაციი გასარკვევად ჩვენ მეანგინეკოლოგ გულიკო გონაშვილს ვეწვიეთ.

-ქალბატონო გულიკო, სად გაიარეთ მეანგინეკოლოგიაში ახალი ტექნოლოგიის შესწავლის კურსი და რაში მდგომარეობს ახალი აპარატის უპირატესობა?

-თბილისის სკრინინგცენტრში გავიარე ერთთიანი კურსი მეანგინეკოლოგიაში, კერძოდ ჩვენ გვაქვს ახალი აპარატურა კოლპოსკოპის სახით, რომელიც იძლევა PAP ტესტის გაკეთების საშუალებას ადგილზე, რაც აქამდე დედოფლისწყაროში არ გვქონია.

-თქვენ ამბობთ, რომ უახლოეს დროში ახალ კლინიკაში გადასვლას, ახალი აპარატურით და ახალი მეანგინეკოლოგიური მკურნალობის მეთოდებით ეგებებით?

-კი, ეს ასეა, ახალ კაბინეტში, ახალი აპარატურით ვხვდებით, ეს გახლავთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა, სახელწიფოს მიერ შეძენილი თანამედროვე აპარატურა და ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ითვალისწინებს უფასო გინეკოლოგიურ კვლევებს საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის კუთხით.

-რას ითალისწინებს ახალი პროგრამა და რა კატეგორიის ქალბატონებზეა გათვლილი?

-პროგრამა გათვლილია 25-წლიდან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებზე, მათ შუძლიათ უფასოდ მიიღონ გინეკოლოგის კონსულტაცია. საშვილოსნოს ყელის სკრინინგი PAP ტესტზე დაფუძნებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის და დიაგნოსტიკის გაიდლაინსადაპტროკოლში მოცემულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით. ქვეკონტრაქტორის მოვალეობებში შედის შემდეგი მომსახურების მიწოდება: საშვილოსნოს ყელის ვიზუალური დათვალიერება, გინეკოლოგის მიერ და ნაცხის აღება შემდგომი ციტოლოგიური კვლევისთვის. ციტოლოგიური კვლევა განხორციელდება ეროვნული სკრინინგ ცენტრის ცენტრალურ ლაბორატორიაში. იმ შემთვევაში თუ პათოლოგია არ აღმოჩნდა, პაციენტი დაბარებული იქნება განმეორებით სკრინინგზე 3 წლის შემდეგ. ის პაციენტი, რომელიც მიკუვნებული იქნება რისკ ჯგუფს დაბარებული იქნება განმეორებით, გასინჯვაზე 6 ან 12 თვის შემდეგ ჩვენების მიხედვით ავთვისებიანი სიმსივნის ან მასთან ახლომდგომი პათოლოგიის აღმოჩენის შემთხვევაში პაციენტს ეძლევა რეკომენდაცია მიმართოს სპეციალიზირებულ გინეკოლოგიური კონკრეტული კლინიკის ექიმის გვარის მითითების გარეშე. ამავე დროს პაციენტს, ეძლევა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელ დაწესებულებაში მუშაობს სახელმწიფო ონკოლოგიური მისი რელევანტური პროგრამა. იმ შემთხვევაში თუ ქვეკონტრაქტორი ვერ უზრუნველჰყოფს კოლპოსკოპიური კვლევის ჩატარებას, ქვეკონტრაქტორი ვალდებულია გამოსაკვლევ პირს მისცეს მიმართვა და გააგზავნოს იმ დაწესებულებაში, სადაც ხდება კოლპოსკოპიური კვლევა სკრინინგ პროგრამის ფარგლებში. ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვება ყოველ მომდევნო თვის ბოლო რიცხვამდე.

-მანამ, სანამ გადახვალთ ახალ კლინიკაში, არის თუ არა შესაძლებლობა, რომ პაციენტებმა უკვე მოგაკითხონ აქ, ამ პოლიკლინიკურ ცენტრში?

-კი, ჩვენ სწორედ ამიტომ ვავრცელებთ ამ დროში ინფორმაციას, რომ გაზეთში გამოქვეყნებისთანავე ველოდებით პაციენტებს, რომლებსაც პროექტის ფარგლებში უფასოდ მოვემსახურებით.

ლალი მეხრიშვილი

დედოფლისწყაროში გადამფრენ ფრინველებზე უკანონო ნადირობის ფაქტი გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში უკანონო ნადირობის ფაქტი გამოავლინეს.

დეპარტამენტის ინფორმაციით, მოქალაქე გადამფრენ ფრინველზე აკრძალულ დროს ნადირობდა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამმართველოს თანამშრომლებმა სანადირო თოფი დალუქეს და შესაბამისი ოქმი შეადგინეს. მასალები შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნება.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი 20 აგვისტოდან დაიწყება.

„ჩემთვის ხელისუფლებაში ყოფნა ხალხის სამსახურია“...

(მეორე გვერდიდან)

-ქიზიყი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საუკეთესო სარბიელია, ჩვენი მადლიანი მინები ამის საშუალებას იძლევა, რა გველოდება სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით?

-პრაქტიკულად წელს აუთვისებელი მინა დედოფლისწყაროში აღარ დარჩა. ხორბლის მოსავალი, რომელიც ჩვენ მივიღეთ წელს დედოფლისწყაროში, გასცდა საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში მიღებული მოსავლის რაოდენობას, 300 ათას ტონას გადავცდით მიმდინარე წელს, ყველაზე მაქსიმალური რაოდენობა მოსავლისა საბჭოთა კავშირში იყო 280 000 ტონა. 300 000 ტონა, ეს მოხდა სწორი მენეჯმენტით, სწორი განათლებით, ფერმერთა კლასისის ჩამოყალიბებით და სოფლის მეურნეობების დახმარების პროგრამებით, ამასთან ერთად ძალიან კარგი პროგრამაა შემოსული „დანერგე მომავალი“, რომელის ფარგლებშიც შეუძლიათ მრავალწლიანი ხეხილი გააშენოს მოსახლეობამ. ზოგადად, პროდუქციას ფასი დაედო და დარგი გახდა მომგებიანი, ღვინო, ყურძენი, ხეხილი, ხორბალი...ძალიან არასწორი იყო პატარ- პატარა ნაკვეთების დარიგება, ეს არარენტაბელური იყო, ნელ-ნელა ყალიბდება ფერმერთა ჯგუფი, რომელიც გარკვეული ფართობების ამთვისებელია და ის უკვე რენტაბელური იქნება. ეს პროცესი მუდმივად გაგრძელდება, ამ ყველაფერს ხელს უწყობს სახელმწიფო. მეტსაც გეტყვით, როგორც „დანერგე მომავალში“ სახელმწიფო ძალიან დიდი როლს თამაშობს, შედის თანამონაწილეობაში, ასევე ჩემი სურვილია, რომ ახალ ტექნიკას, რომელსაც ფერმერი შეიძენს, იქ თანამონაწილეობა იყოს სახელმწიფოსი. იმისთვის, რომ ტექნიკური საკითხები ფერმერებს ჰქონდეთ მოგვარებული. წელს ჩვენ კომბაინების ნაკლებობის წინაშე დავდექით და აზერბაიჯანიდან შემოვიყვანეთ დახმარებისთვის კომბაინები. თუ გავაკეთებთ იმ პროგრამას, რომ ფერმერს დავეხმაროთ კომბაინის შესყიდვაში, დიდი ჯგუფი ფერმერების შეძლებს, რომ შეიძინოს კომბაინები.

- წელს დედოფლისწყაროში უხვი მოსავალი მოვიდა, თუმცა ხორბლის დაბალი ფასის გამო ბევრი წუხს.

-მოდი, ასე ვთქვათ, ფასებს არეგულირებს ბაზარი, სახელმწიფოს რეგულაცია ასეთია, როგორც კი ჩვენ კერძო წისქვილკომბინატს დავუძახებთ და ვეტყვით, რომ ამდენად და ამდენად ჩაიბარეო, ჩვენ დავემსგავსებით არა დემოკრატებს, არამედ ავტოკრატებს, რომლებიც კარნახობენ ფასებს და ეს ბიზნესისთვის შექმნილი არაჯანსაღი გარემო იქნება, ეს იქნება ბიზნესის დანგრევის და გაკოტრების ერთ-ერთი წინაპირობა, შეიძლება ერთ წელს მან იძულების წესით ეს გააკეთოს, მაგრამ მეორე წელს მუშაობა ვეღარ გააგრძელოს და დახუროს ქარხანა, რაც არანაირად არ გვაწყობს.

-გამარჯვების შემთხვევაში უპირველესი საქმე, რასაც თქვენ მოჰკიდებთ ხელს, რა იქნება?

- მე კანონპროექტი მქონდა დაწერილი ჩემი გამგებლობის პერიოდში. შემდეგ გუბერნატორობის პერიოდში პარლამენტს წარვუდგინე, სამწუხაროდ ამ კანონპროექტმა ვერ მოასწრო ყველა ინსტანციის გავლა. ეს გახლავთ საქონლის ნაკვეთებში შესვლის და განადგურების საკითხი, არ არსებობს კანონი, რომელიც ზღუდავს და პასუხისმგებლობას აკისრებს საქონლის მეპატრონეს, რომელსაც თავისი საქონელი სხვის ნაკვეთში შეჰყავს და ანადგურებს. ადგილობრივ თვითმმართველობას მხოლოდ ქარსაფარ ზოლებში მოხვედრილი საქონლის მეპატრონის დაჯარიმების უფლება აქვს, ხოლო ნაკვეთებში შესული საქონლის მეპატრონეს ვერაფერს ედავებიან, რადგან არ არსებობს კანონი. მე ამის შესახებ კანონპროექტი დაწერილი მაქვს და პირველ რიგში ამ კანონპროექტის ბოლომდე მიყვანით დავინტერესდები. ეს იქნება ჩემი პირველი სამუშაო თემა, რაც არამარტო ჩვენს რაიონს, არამედ სიღნაღის რაიონსაც აწუხებს. ეს არის უბრალოდ პრევენცია, რომ მესაქონლემ თავის საქონელს მიხედოს კარგად, ხოლო ნაკვეთების მეპატრონეების უფლებაც უზენაესი კანონით იყოს დაცული.

-გუბერნატორობის ორწელნახევრიან მუშაობას მოკლედ რომ გადმოგვცეთ, რას დაარქმევდით?

-არ იყო მარტივი, ზოგადად მე ჩემი მუშაობა და ჩემი დამოკიდებულება კახელებთან საბოლოო ჯამში ავსახე სიმღერაში, რომელიც კახეთზე დაიწერა და ამ სიმღერაში თითქმის ყველაფერი ვთქვი, ყოველ შემთვევაში, ვეცადე, რომ ყველაფერი მეთქვა. კახეთში ძალიან ბევრი სიკეთე დავინახე, ძალიან ბევრი კარგი, გულმოდგინე ადამიანის გული დავინახე, საქართველოზე შეყვარებული, თავის სამშობლოზე, თავის კუთხეზე შეყვარებული ადამიანები დავინახე. ძალიან ბევრი ადამიანის თვალებში დავინახე, რომ ის მზად არის ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის დაუფიქრებლად თავი გასწიროს, თავისი ენერგია და შემართება არ დაზოგოს. ეს ყველაფერი მე იმ სიმღერის ტექსტში გამოვხატე, რამდენად კარგი გამოვიდა, ამას მსმენელი შეაფასებს.

-პოლიცია და სასაზღვრო აპოლიტიკური გახდა. 2014 წელს, იყო პირველი არჩევნები, როდესაც პოლიციელებს დირექტივები არ მიულიათ არჩევნებისთვის მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებების აღწერის შესახებ....

-თქვენ, თქვენი ოჯახიდან გამომდინარე, ხართ ამის მოწმე, მაგრამ ეს ყველაფერი ბევრმა არ იცის, ამიტომ თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რა იყო მაშინ. თუმცა, ამის ახსნა და გაგება მოსახლეობის იმ ნაწილისთვის გაჭირდება, ვისაც არ გამოუცდია ის წნეხი, რაც განიცადა ძალიან ბევრმა სტრუქტურამ. ამას იგებდა 1% და ჩვეულებრივი ადამიანები ვერ მიხვდებიან, რას ნიშნავს დეპოლიტიზირებული სისტემები.

- თქვენი სამაგიდო წიგნი ?

-ჩემი სამაგიდო წიგნი „კახეთის რეგიონალური განვითარების გენერალური გეგმაა“, ამას გულახდილად გეუბნებით და სხვა ასე ვთქვათ, მხატვრული ლიტერატურისთვის, სამწუხაროდ, ფიზიკურად დრო არ არსებობდა.

- ცხოვრებაში რა იყო თქვენთვის ყველაზე ძვირფასი და მისაბაძი მაგალითი.

- ცხოვრებაში ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არის ოჯახი, ეს არის ჩემი მეუღლე, ჩემი ოჯახი, ჩემი შვილი, ჩემი მშობლები და ძალიან ცუდია, როცა ცოტა დრო მრჩება მათთვის, მაგრამ როცა ისინი ჩემს ზურგს უკან მიდგანან და მომყვებიან, როგორც თანამებრძოლები, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ეს მამხნევებს და დაღლას ვეღარ ვგრძნობ. ისინი ყოველდღიურ რეჟიმში ხელს მიწყობენ, რაც შეიძლება მეტი საქმე გავაკეთო, სიკეთე დავთესო. ასე რომ, ამ დროის დეფიციტსაც ვეგუები იმიტომ, რომ დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ ჩემი ოჯახიდან, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ყველა მათგანს.

- თანამედროვე სახელმწიფო არის – დაასრულეთ ფრაზა...

- თანამედროვე სახელმწიფო ეს არის, როდესაც პოლიტიკა და ადამიანები არ არიან ვალდებულნი ერთმანეთში იყვნენ გადაკვეთილნი, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი საქმე და პოლიტიკისგან ისინი აბსოლუტურად შორს უნდა იყვნენ, ეს არის ჩემთვის თანამედროვე სახელმწიფო, როცა ყველა ადამიანს აქვს თავისი საქმე და იმ საქმის პროფესიონალია, არ ინტერესდება ისეთი დარგით, რომელშიც არ არის პროფესიონალი და რომელშიც არ აქვს შესაძლებლობა.

-თქვენ ხართ ახალგაზრდა თანამდებობის პირი, რომელისთვისაც უპირველესი ადამიანია?

-ეს არის კომუნიკაციის მარტივი ანი-ბანი, ადამიანმა ერთი რამე უნდა გათვალო, ყოველ საღამოს როცა დასვენების რეჟიმში გადავდივარ და მარტო ვრჩები, მუდმივად ვეუბნები საკუთარ თავს, რომ ეს ყველაფერი დროებითია, აკეთებ ყველაფერს, რომ შენმა შვილებმა, მათმა შვილებმა, კიდევ იმათმა შვილებმა,უკეთეს გარემოში იცხოვრონ. თუ მუდმივად უმეორებ შენს თავს ამ თეორემას, არასდროს ძალაუფლების ხიბლში არ ჩავარდები. ხშირად ადამიანებს მოსდით ხოლმე ძალაუფლების ტკბობაში გადასვლა და მეც მინახავს ასეთი ჩინოვნიკები, რომელთათვისაც ძალიან რთულია პოზიციის დათმობა, ხშირად დანაშაულსაც კი ჩადიან, ოღონდ შეინარჩუნონ არსებული პოზიცია, მაგრამ თუ ადამიანს გასიგრძეგანებული აქვს ის ჭეშმარიტება, რომ ის არის მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული ჩინოვნიკი და ამაში უხდიან ხელფასს, ცვლილება მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მე მივეკუთვნები ისეთი რანგის ჩინოვნიკს, რომლისთვისაც ხელისუფლებაში ყოფნა ხალხის სამსახურია, და არა ის, რომ შენი პირადი ძალაუფლება განიმტკიცო და შემდეგ დანაშაული ჩაიდინო იმისთვის, რომ ეს ძალაუფლება შეინარჩუნო.

ლალი მეხრიშვილი

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

არჩევნები „ცენტრისტების“ გარეშე

2016 წლის 30 მაისს „ცენტრისტების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, თეიმურაზ ხაჩიშვილმა, საჯარო რეესტრში წარადგინა 2016 წლის 29 მაისის პარტიის რიგგარეშე ყრილობის ოქმი და მოითხოვა ახალი მონაცემების რეგისტრაცია: რიგგარეშე ყრილობის ოქმის თანახმად, პარტიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თეიმურაზ ხაჩიშვილი და პოლიტიკური საბჭო, შემდეგი შემადგენლობით: თეიმურაზ ხაჩიშვილი, ირაკლი ჩუბინიძე, დავით ხაჩიშვილი. საჯარო რეესტრმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2016 წლის 2 ივნისს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან, საჯარო რეესტრის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, პარტიის რიგგარეშე ყრილობის მოწვევის, ჩატარებისა და პირთა არჩევის პროცედურები არ შეესაბამებოდა რეგისტრირებული წესდებით დადგენილ რეგულაციებს. საჯარო რეესტრმა შეაჩერა წარმოება და პარტიას ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10-დღიანი ვადა განუსაზღვრა, თუმცა, როგორც სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით დევიძემ განმარტა, ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული:

„დღეის მდგომარეობით, პოლიტიკურ გაერთიანება „ცენტრისტებს“ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არ ჰყავს რეგისტრირებული“.

სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოაწერა განკარგულებას ხელი ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ:

„ეს გახლავთ ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ რეგისტრაციის განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების, „ცენტრისტების“, და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ ცესკოს თავმჯდომარის 2016 წლის 15 ივლისის განკარგულება ბათილად იქნას ცნობილი“.

თამარ ჟვანიამ 16 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტრომ დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ პარტიების შესახებ, რომლებიც რეგისტრირებული არიან საჯარო რეესტრში და ცდილობენ მიიღონ საარჩევნო რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების გამო „ცენტრისტები“ ვეღარ მიიღებენ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში, “საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის” გამგეობის წევრი გიორგი მშვენიერაძე მაინც აპირებს სარჩელის შეტანას საკონსტიტუციო სასამართლოში და პარტიის საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნას:

„კანონმდებლობა ორ ნაწილად ყოფს საკითხს: ერთი, როცა ეხება რეგისტრაციის საკითხს და მეორე, ზოგადად, საქმიანობის ეტაპს. ჩვენ ვთვლით, რომ რეგისტრაციის დოკუმენტებში - მათ შორის, წესდებაში - შესაძლებელია ანტიკონსტიტუციური არაფერი ეწეროს პარტიას, მაგრამ მისი საქმიანობის მიზნები, რაც ვლინდება კონკრეტულ საარჩევნო დაპირებებსა და მოწოდებებში, იქცეს მისი აკრძალვის საფუძვლად“.

გიორგი მშვენიერაძის თქმით, საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება როგორც „ცენტრისტების“ ლიდერთა ცალკეული საჯარო გამოსვლები, ასევე სარეკლამო კლიპები, რომელთა მიხედვითაც, პარტია ამომრჩეველს ჰპირდება რუსულ პენსიას, ორმაგ მოქალაქეობას და რუსული სამხედრო ბაზების დაკანონებას.

8 ოქტომბერს საქართველოს რამდენიმე რაიონში გამგებლებისა და მერის არჩევნებიც გაიმართება

2016 წლის 8 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, ბოლნისის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების გამგებლებისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებიც გაიმართება. შესაბამისი განკარგულება საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 19 აგვისტოს გამოსცა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, განკარგულება პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიერ კონტრასიგნირებულია.

ბურჭულაძის პარტია „გირჩთან“, „ახალ მემარჯვენეებთან“ და „ახალ საქართველოსთან“ გაერთიანდა

პაატა ბურჭულაძის პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ „გირჩის“, „ახალი მემარჯვენეებისა“ და „ახალი საქართველოს“ საარჩევნო ბლოკს „ვაშაძე-ჯაფარიძე-ახალ არჩევანს“ შეუერთდა. ბურჭულაძის განცხადებით, შეიქმნა ახალი პოლიტიკური პლატფორმა, რომლის სახელწოდებაა „პაატა ბურჭულაძე - მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“.

„ისინი შემოგვიერთდნენ ზუსტად მაშინ, როდესაც ჩვენზე იყო ძალიან დიდი ზეწოლა და პოლიტიკური წნეხი. დღეიდან ეს ბატონიშვილები ჩვენთან ერთად გაინაწილებენ ამ წნეხს“, - განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

„გირჩმა“, „ახალმა საქართველომ“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“ პაატა ბურჭულაძეს თანამშრომლობა გუშინ შესთავაზეს.

ფერისცვალება

ტროპარი:

მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდებაჲ შენი ძალისაებრ მათისა და გამოგვიბრწყინევე ჩუენცამ ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხებითა ღმრთისმშობელისათა ნათლისა მომცემელო უფალო, დიდება შენდა.

კონდაკი:

მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო და რაოდენ ძალ-ედვა მოწაფეთა შენთა, დიდებაჲ შენი უჩუენე. რათა რაჟამს იხილონ ჯჯუარცმაჲ შენი, გულისხმა ჰყონ, ვითარმედ ვნებაჲ იგი ნებსით არს და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალებაჲ მამისა.

6(19) აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც 12 უდიდეს დღესასნაულთა რიცხვში შედის და უფალ იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთ ცნობილ ეპიზოდს უკავშირდება. ფერისცვალების შესახებ მოგვითხრობენ მახარებლები მათე (XVII, 1-13), მარკოზი (VI, 2-13) და ლუკა (IX, 28-36).

უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოირჩია პეტრე, იაკობი და იოანე და მათთან ერთად თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად. სანამ მაცხოვარი ლოცულობდა, დაღლილ მოწაფეებს ჩაეძინათ. გაღვიძებისას ნახეს, რომ იესო ქრისტემ ფერი იცვალა: „და იცუალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ ვითარცა ნათელი“ (მათე XVII, 2). ამ დროს მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი იდგნენ, რომლებიც მაცხოვართან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რაც მას იერუსალიმში მოელოდა. ამის მნახველი მოწაფეები გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა და პეტრემ წამოიძახა: „მოძღუარ კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა. და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიასა“ (ლუკა IX, 33). ამ სიტყვების თქმის შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგრა მათ, ხოლო ღრუბლიდან მოისმა ხმა ღვთისა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ“ (მათე XVII, 5). შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხვნენ, მათთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: „აღდეგით და ნუ გეშინინ“ (მათე XVII, 7). როცა მათ მიმოიხედეს, მოსე და ელია აღარსად იყვნენ.

მთიდან ჩამოსვლისას მაცხოვარმა გააფრთხილა მოწაფეები, რომ ეს ამბავი არავისთვის გაემხილათ, ვიდრე მკვდრეთით არ აღდგებოდა.

თაბორის მთაზე ფერისცვალებით უფალმა მოწაფეებს ხილული სახით უჩვენა თავისი ღმრთაებრივი დიდება - ღვთაებრივი, შეუქმნელი, მარადიული, ნათელი, უფრო ბრწყინვალე და წმიდა ვიდრე მზის სხივები, ნათელი, რომელიც მათ სულებს საოცარი სიხარულით, ზეციური სიმშვიდითა და ნეტარებით ავსებდა. მოწაფეთა წინაშე გაცხადდა მარადიული სიცოცხლის საიდუმლო, ანუ ის სიცოცხლის საიდუმლო, რომელიც მარადიულადაა გაცისკროვნებული ღმრთაებრივი ნათლით, და ამგვარ გაცხადებას წმიდა დიონისე არეოპაგელმა „დროული მარადისობა“ უწოდა. XIV საუკუნეში დიდი დავა იყო თაბორის ნათლის შესახებ. კათოლიკური აზროვნება და კერძოდ მისი წარმომქმნელი - კალაბრიელი ბერი ვარლამი ამ ნათლის მარადიულობასა და შეუქმნელობას უარყოფდა და მას ქმნილებად, დროში შექმნილად მიიჩნევდა. ამის საპირისპიროდ ცნობილი წმიდა მამა გრიგოლ პალამა ამტკიცებდა, რომ თაბორის ნათელი ეს არის ღმრთაებრივი ძალა, ენერგია, სხვაგვარად რომ ვთქვათ ღმერთი, რომელიც სრულიად მიღმიურია ხილული სამყაროსი, ამავე დროს თავისი ენერგიებით, მადლით ქმნის, იცავს და განმსჭვალავს მთელ ამ სამყაროს, რომ მაცხოვარმა თაბორზე მოწაფეები სწორედ ამ ღმრთაებრივი ძალის ხილვის ღირსი გახადა და არა რაღაც ზებუნებრივი სინათლისა, რომელიც თითქოს სწორედ ფერისცვალების სასწაულისათვის შეიქმნა. როგორც ამას ვარლამი ამტკიცებდა. ამ დავას გამოეხმაურნენ ათონელი ბერებიც, რომელნიც უდიდესი ასკეტური ღვაწლის წყალობით თვითონ გახდნენ ღირსნი, საღვთო ნათელს გაენათებინა მათი გულები. მათ კონსტანტინეპოლში გაგზავნეს „ტომოსი“, რომელშიც ადასტურებდნენ თაბორის ნათლის მარადიულობასა და ღმრთაებრიობას, კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ 1351 წელს დაგმო ვარლამის მცდარი სწავლება, ხოლო გრიგოლ პალამას შეხედულებები მართლმადიდებლურად აღიარა. თეოდორე ხარანელი მოგვითხრობს რა უფლის ფერისცვალების შესახებ თავის ქადაგებაში, პარალელს ავლებს მაცხოვარსა და მოსეს შორის. როგორც ვიცით, სინას მთიდან ჩამოსვლისას მოსეს სახეც ისე ბრწყინავდა, რომ ისრაელიანებმა მასთან მისვლა ვერ გაბედეს (გამოსვლ. 34, 30).

წმიდა თეოფანე წერს: „გარნა, ხოლო მათგან ყოვლისა განსრულებისა მისისა იყო ბრყნინვალებაჲ მოსესი, რამეთუ პირი ხოლო მისი ბრწყინვიდა და შინაგან არ აქუნდა ბრწყინვალებაჲ, ხოლო ქრისტესი ბრწყინვალებაჲ ყოვლითვე სრულ იყო: ვითარცა - გარეშე. ეგრეცა - შინაგან. მის გამო იყო ბრწყინვალებაჲ იგი და მის თანავე იყო, რამეთუ არა სხუისგან მოიღო“. ღვთის ძალით, ხოლო მაცხოვრის ბრწყინვალება „შინაგანი“ მისთვის მოუცილებელი რეალობაა, რომელიც მას მარადიულად თან ახლავს. თაბორის მთაზე უფალმა სულიერი თვალი აუხილა მოწაფეებს და მათაც იხილეს მისი დიდება იმდენად რამდენადაც ამ დიდების დატევნის შემძლებელნი იყვნენ, ანუ როგორც თეოდორე ხარანელი ამბობს: „არამედ რაიზომ შემძლებელნი იყვნეს, ეგრეით ეჩუენა“. იგივეს ვკითხულობთ ფერისცვალების დღესასწაულის ტროპარ-კონდაკშიც: „მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდებაჲ შენი ძალისაებრ მათისა“. ეს ყოველივე ეხმიანება წმიდა დიონისე არეოპაგელის სიტყვებს, რომელიც ამბობს, რომ: „ღვთაებრივი ყველას ეცხადება მათი დატევნის უნარის მიხედვით, ღვთაებრივის გაგების უნარის მიხედვით“. გაგება-დატევნის უნარი კი შეესაბამება ცალკეული ადამიანის სულიერ განვითარებასა და რელიგიურ გამოცდილებას. სწორედ ამით აიხსნება ეს ფაქტი, რომ მაცხოვარმა თაბორზე მხოლოდ სამი მოწაფე წაიყვანა და არა თორმეტი. რადგან თორმეტს შორის იყო იუდა. გამცემი და ღვთის მგმობელი, რომელიც არ იყო ღირსი ღმრთაებრივი ნათელის ხილვისა, რადგან მის გულში ჯოჯოხეთს დაესადგურებინა, იგი უკვე დათანხმებული იყო მაცხოვრის 30 ვერცხლად გაცემაზე. ამიტომაც უფლის დიდების მხილველნი პეტრე, იაკობი და იოანე არიან, რომელთაც შემდგომ თავის მხრივ უნდა განემტკიცებინათ და გაეძლიერებინათ სხვა მოციქულები მომავალი განსაცდელის ჟამს.

მოწაფეებმა მაცხოვართან მოსაუბრე ძველი აღთქმის ორი უდიდესი წინასწარმეტყველი მოსე და ელია იხილეს. როგორც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი წერს: „უფლის ფერისცვალებისას თაბორის მთაზე ნაჩვენები იქნა ცხონების სამი გზა: სათნოების, შემეცნებისა და ღვთისმეტყველებისა, პირველი ორი გზა ელიასა და მოსეს სახით წარმოჩინდა, ხოლო ღვთისმეტყველებას თავად მაცხოვარი წარმოადგენდა“.

პეტრეს სიტყვები: „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ“ გამოხატავს მოწაფეთა უდიდეს სურვილს უსასრულოდ გაგრძელდეს ფერისცვალების დრო, როგორც ზეციური სასუფევლის სიხარული, მაგრამ ეს ასე არ ხდება. რადგან სასუფეველის დასამკვიდრებლად საჭირო იყო ცხოვრებისეული თავგანწირვა, მოციქულებრივი ღვაწლი და მოწამეობრივი სიკვდილი. მაცხოვრისათვის თაბორი წინ უსწრებს გოლგოთას, ხოლო ქრისტიანისათვის გოლგოთა წინ უსწრებს თაბორს.

ფერისცვალების ნათელი ხატებზე წმიდანთა თავზე დამდგარი შარავანდედის სახით გამოისახება. იგია ძვირფასი გვირგვინი, რომლითაც უფალი სულიერ ბრძოლაში გამარჯვებულთ აჯილდოებს.

ფერისცვალება ღვთისმშობლის სამლოცველო სახლში

19 აგვისტოს ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაული აღინიშნა ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში. სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღევლინა დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლში, სადაც, აგერ უკვე თვეებია, არქიმანდრიტი ონოფრე (წულაძე) აღასრულებს ღვთისმსახურებას. წირვის დასრულების შემდეგ, ტაძრის ეზოში მამა ონოფრემ აკურთხა მრევლის მიერ მოტანილი ხილი და იქადაგა, თუ როგორ იცვალა ქრისტემ სწორედ ამ დღეს ფერი, როგორ გახდა ის სულით სათნო და წმინდა. —„ფერისცვალება სიმბოლურად იმას ნიშნავს, რომ კურთხევით

განიწმინდება ადამის ცოდვით შებილწული ხილი და იმ სიწმინდეს იბრუნებს, რომლითაც ედემის ბაღში იყო მოსილი. ფერისცვალების დღესასწაული მართლაც განსაკუთრებულია - იგი ეხება არა ძე კაცისას ზეციდან გარდამოსვლისა და განკაცების საიდუმლოს, არა მაცხოვრის ქვეყნიურ მოღვაწეობას, არამედ საუკუნო ცხოვრებას. იესომ ფერისცვალება იმისთვის ინება, რომ ცხადად ეჩვენებინა მოციქულთათვის და ყველა მორწმუნისათვის საიდუმლო მომავალი ცხოვრებისა, მდგომარეობა გამართლებული ადამიანისა - ჩვენი ცხონება სულიერ ფერისცვალებასა და გაბრწყინებაში მდგომარეობს. სამწუხაროდ, ბევრს ჰგონია, მთავარია, გულში ჰყავდეს უფალი და ეკლესიაში სიარული აუცილებელი აღარაა. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი შეხედულებაა. ქრისტიანული ცხოვრების არსი პიროვნული სრულყოფისკენ, სულიერი ფერისცვალებისკენ სწრაფვაა და ამ მიზნის განხორციელებაში ეკლესიური წესების დაცვით გარდამოსული ღვთიური მადლი გვეხმარება, დღვანდელი ჩვენი სახარების ნაწილი ასე იმიფრება. „თაბორი და ერმონი დიდებითა შენითა იხარებდნენ“, თაბორი ვიცით რაც არის, სადაც უფალი მოწაფეებით შეხვდა წინასწარმეტყველებს. ხოლო ერმონი წარმართთა რიტუალებითაა ცნობილი და ისინიც თაბორის ნათელით განათლდებიან, ანუ შეიმოსვენ ქრისტეს.თაბორიც განათდება და განათლდება ერმონი, ანუ წარმართნი შეიმოსვიან ქრისტეს. უნდა იყოს თაბორის ნათლით განათდება და განათლდება ერმონი, ანუ წარმართნი შემოსვია ქრისტეს,“ - იქადაგა მამა ონოფრემ წირვის დასრულებისას.

ლალი მეხრიშვილი

შვილები: ზურაბი (ჩიტო), გოდერძი, გოჩა; რძლები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმა ელგუჯა ოჯახით, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან

სირანა თეთვაძე-კიკილაშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 16 აგვისტოს ქ. დედოფლისწყაროში

შპს „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა ბოსტაშვილს და ელგუჯა თეთვაძეს

სირანა თეთვაძის

გარდაცვალების გამო.

გახსენება

ნინა ბუჩუკური

შენი შვილები: ნანა და ლუიზა, **შვილიშვილები:** გიორგი და ლადიკო.

საყვარელო დედიკო, შენი დაბადების დღე 12 აგვისტოა. ვერ ვეგუები უშენობას, ვერ ვეგუები შენ ხმას რომ ვერ ვიგებ, ბუნება რა მკაცრია, რატომ ინება შენი წასვლა, ფიქრიც კი მიჭირს ამაზე.

შენს დაბადების დღეზე როგორ მხიარულობდი, მეტ ხალისს მატებდი შენი ლექსებით, ამ რომანტიული განწყობილებით ცვლიდი ჩვენს ცხოვრებას და ვუერთდებოდით ამ სიხარულს. მინდა კიდევ გავიგონო შენი ხმა, ძალიან მენატრები, მიყვარხარ, დედა, სიმწრით და ცრემლით რომ დამტოვე. ცრემლით დავანთებ სანთლებს. გულით გილოცავ დაბადების დღეს. ვეღარ ვიშუშებ იარებს, მინდა, რომ გვერდით მყავდე და მოგეფერო ისევ.

ნათელში იყოს შენი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

ელია თეზბიტელის მინიატურული მონასტერი ზღვის სანაპიროზე აშენდა

ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, შეკვეთილში, პარკ „ციცინათელას“ გვერდით „მინიატურების პარკი“ გაშენდა. ტურისტულ-რეკრეაციული ადგილი ქვეყნის კულტურულ-არქიტექტურულ ძეგლთა მაკეტებს აერთიანებს და შესანიშნავ ადგილს ქმნის, რომლის დათვალიერებითაც მნახველს შეუძლია მთელი საქართველო მოკლე დროში, ერთი ნახვით შეისწავლოს. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არსებული საგანძური ერთ სივრცეშია წარმოდგენილი. ორ ჰექტარზე გაშენებული პარკი, სადაც საქართველოს არქიტექტურული საგანძური მინიატურებშია წარმოდგენილი, ფონდმა „ქართუმ“ სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა.

დედოფლისწყაროელებისთვის სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ შეკვეთილის პარკში ელიას მთაზე მდებარე ელია თეზბიტელის მონასტრის მინიატურული ასლი 3D ფორმატში აშენდა. იდეის ავტორები ამბობენ, რომ ფონდმა „ქართუმ“ სახელმწიფოს ასევე საჩუქრად გადასცა უნიკალური მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს პარკში წარმოდგენილი ყველა მინიატურის პროტოტიპის ზუსტ აზომვით ნახაზებს ფორმატში, რაც არის ძვირადღირებული და აუცილებელი ინფორმაცია ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის. ამ მონაცემების დამუშავებასაც დიდი ძალისხმევა დასჭრდა.

მინიატურების კომპლექსი დააპროექტა კომპანიამ „არქიტექტურული ლაბორატორია №3“. კომპლექსი მოიცავს: პარკს, თავად მინიატურებს, ინფრასტრუქტურას და ვიზიტორთა ცენტრს, რომელშიც განთავსებულია მინი ამფითეატრი, კაფე და სხვა ფუნქციური სივრცეები. პარკში წარმოდგენილია 44 არქიტექტურული ძეგლის მინიატურა, წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 5 ძეგლის მონტაჟი. 2017 წელს პარკს კიდევ რამდენიმე ძეგლის მინიატურა დაემატება.

მინიატურების პარკის სახელმწიფოსთვის გადაცემის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო. მან მადლობა გადაუხადა ფონდ „ქართუს“ და მის დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოსახლეობისთვის გაკეთებული მნიშვნელოვანი საჩუქრისთვის და იმედი გამოთქვა, რომ პარკი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და საქართველოს კუთხეების პოპულარიზაციას. პრემიერის თქმით, ტურისტულ—რეკრეაციული და საგანმანათლებლო—შემეცნებითი ფუნქციის გარდა, საქართველოში პირველი მინიატურული პარკის დანიშნულებაა რეგიონში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის წახალისება და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა.

„მინდა, საქართველოს მივულოცო კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ობიექტი, რომელიც ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და ფონდ „ქართუს“ საჩუქარია საქართველოსთვის. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ეს არის მართლაც ღირშესანიშნავი პარკი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, გახდება ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი, პირველ რიგში საქართველოს მოქალაქეებისთვის და, რა თქმა უნდა, ტურისტებისთვის. პარკის მშენებელობაზე 10 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიციაა დახარჯული. ეს არის ტურისტულ-რეკრეაციული დანიშნულების, ახალი ტურისტული მიმართულება, სადაც მინიატურულ განზომილებაშია წარმოდგენილი საქართველოს კულტურული და ისტორიული ძეგლები და სხვადასხვა ღირშესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობები. ამგვარი პარკები ბევრ ქვეყანას არ აქვს, ეს არის, მართლაც, დიდი ფუფუნება და, სადაც არის, დიდი პოპულარობით სარგებლობს,“ - განაცხადა გიორკი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, მინიატურების პარკის სახელმწიფოსთვის გადაცემის დოკუმენტს ხელი მოაწერეს ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეტიანმა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი შენგელიამ.

ილია მარტყოფლიშვილი

ძალა ერთობაშია



(მეოთხე გვერდიდა)

მოსახლეობას კი მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ ტაძრის მოხატვის ხარჯები კეთილი და მორწმუნე ადამიანების შემოწირულობებით იფარება. ეკლესიაში დგას შესაწირი ყუთი, ასევე მსურველებს შეუძლიათ, გადარიცხონ ნებისმიერი თანხა შემდეგ ანგარიშზე: ლარის ანგარიშის რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი“
საბანკო კოდი- TBCBGE22
მიმღების დასახელება-დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი
ანგარიშსწორების ანგარიში: GE64TB7941036080100004.

არც გასულ წელს უჩიოდნენ დედოფლისწყაროელი ფერმერები მოსავალს და წელს ხომ - უკეთესია, ეს, სწორედ რომ, უფლის წყალობაა. ამიტომ, გამორჩეულად მოვუწოდებ მათ, მიაგეთ „კეისარს კეისრისა“, უფლის წყალობას შესაბამისი პატივით ვუპასუხოთ და მივიღოთ მონაწილეობა ტაძრის მოხატვის საშვილიშვილო საქმეში ისე, როგორც მისი აშენების დროს. ნუ დავივიწყებთ, რომ ძალა ერთობაშია!

ნაირა გორაშვილი

ყურადღება: — სიახლე!

ქ. დედოფლისწყაროში, ანტონ ნატროშვილის ქუჩაზე გაიხსნა ახალი ავტოსამრეცხაო, სადაც ნებისმიერი მარკის მსუბუქ ავტომობილებთან ერთად შეგიძლიათ, გარეცხოთ სატვირთო ავტომანქანა, ტრაქტორი, კომბაინი, ხალიჩები. თქვენ აქ მოგემსახურებიან კვალიფიციური ახალგაზრდები გიორგი ოდიშერაშვილი და გიორგი გოგილაშვილი. ფასები ხელმისაწვდომია. ავტოსამრეცხაოს მეპატრონე გახლავთ ბიძინა პაპაშვილი. ეწვიეთ ახალ ავტოსამრეცხაოს, კმაყოფილი დარჩებით.

იყიდება!

დედოფლისწყაროში სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი ბელეტაჟზე – შესასვლელით, ოთხი ოთახით, სამზარეულოთი, სველი წერტილით, ცენტრალური კანალიზაციით, წყლით, ბუნებრივი აირით, ტელეფონით, ბეტონის ავტოსადგომით, ბეტონისვე გადახურვით ზედ ვაზის ტალავერით. დამიკავშირდით ნომერზე ☎ 591015765

იყიდება!

იყიდება ბინა ავარიულ მდგომარეობაში
მიწის ნაკვეთით ქ. დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქ. №81.
☎ 577 74 26 72 იკითხეთ ნელი.

ყურადღება!

ვაწარმოებ დაზიანებული დგამ-ავეჯის აღდგენა-რესტავრაციას გარანტიით, ადგილზე მისვლით.

☎ 557 31 76 79

ყურადღება!

სოფელ სამრეკლოში მდებარე მაღაზიას ესაჭიროება გამყიდველი, ხოლო ოჯახს-დამხმარე ქალბატონი (ძიძა).
☎ 555 20 55 54
იკითხეთ ხატია.

ავტოსკოლა

ავტოსკოლა „IZI“-მ შეიცვალა მისამართი. ავტოსკოლა მომსახურებას აგრძელებს რუსთაველის ქუჩა №53-ში (სახანძრო-სამაშველო სამსახურის გადასწვრივ). იმუშავებს 1 კვირიანი, 2 კვირიანი და 3 კვირიანი თეორიის კურსები ფასთა სხვაობით. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 555-97-81-99; 577-34-55-39.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 22.08		სამშაბათი 23.08		ოთხშაბათი 24.08		ხუთშაბათი 25.08		პარასკევი 26.08		შაბათი 27.08		კვირა 28.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	26 °	24 °	26 °	23 °	26 °	24 °	26 °	24 °	24 °	23 °	26 °	25 °	26 °	23 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.